

საქართველოს სსრ კულტურის საპინისტრო
ზუზდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

ქართული ხალხური კოეფიჩის მასალები

(მეგრული ნიმუშები)

გაეროსადგენად მოაპყადა კ. საშუშიამ



გამომცემლობა „მედიკა“
თბილისი

1971

Г I + Г Ф
899.962.1—1 + 398,2(47.922)
ქ 279

წინამდებარე კრებული შეიცავს ზუგდიდისა და მის მეზობელ რაიონებში შეკრებილ ხალხური პოეზიის ნიმუშებს, რომლებიც დალაგებულია თემატიკური პრინციპის მიხედვით: 1. საშობლო; 2. სატრფიალო; 3. წუთისოფელი; 4. სოციალური და კლასობრივი უსამართლობა; 5. სატირა და იუმორი; 6. საყოფაცხოვრებო; 7. თანამედროვე ლექსები.

აქ წარმოდგენილია როგორც ტრადიციული, ასევე საბჭოთა სინამდვილის ამსახველი ლექს-სიმღერები. მეგრულ ტექსტს ახლავს პარალელური, სიტყუასიტყვითი ქართული თარგმანი. ასეთი მოცულობითა და ამგვარი პრინციპით მეგრული პოეზიის ნიმუშები პირველად ქვეყნდება.

ამ ბოლო წლებში სათანადო ყურადღება დაეთმო ქართველურ ტომთა ზეპირსიტყვიერების შესწავლას. განსაკუთრებით ჩამორჩებოდა მეგრულ-ლაზური ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და პუბლიკაციის საქმე. საქართველოს ამ კუთხის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული შესწავლის დაყოვნება არ იყო გამართლებული და იგი უახლოეს მომავალში უნდა გამოსწორდეს.

1963 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს (თავმჯდომარე პროფ. მ. ჩიქოვანი) მესამე რესპუბლიკურ კონფერენციაზე გადაწყდა მეგრულ-ლაზური ზეპირსიტყვიერების გეგმური შეკრებისა და პუბლიკაციის დაწყება. კონფერენციაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა გიორგი ლეონიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომულში „ასახვა უნდა პოვოს ყველა ქართველი ტომის შემოქმედებამ. მაშასადამე, სვანურ-მეგრულ-კანური ტექსტები უნდა გამოვიყენოთ“ („ლიტერატურული საქართველო“, 1963, № 5).

ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. შეკრებილია მნიშვნელოვანი რაოდენობის მეგრულ-ლაზური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ნაწილი ამ ნიმუშებისა, სათანადო გამოკვლევების დართვით, გამოქვეყნდა კიდევაც. მისასალმებელია, რომ ამ საერთო ეროვნულ საქმეში სათანადო წვლილი შეაქვს ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. ამის დადასტურებაა წინამდებარე კრებული, რომელიც შეადგინა ამავე მუზეუმის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა კ. სამუშიამ.

ეს კრებული მიზნად ისახავს მკითხველებს გააცნოს ზუგდიდისა და მის მეზობელ რაიონებში შეკრებილი მეგრული ხალხური პოეზიის ნიმუშები. კრებულს ეწოდა „ქართული ხალხური პოეზიის მასალები“, რადგან მას პრეტენზია არა აქვს სრული სახით წარმოვადგინოს სამეგრელოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშები. ასეთი კრებული მომავალში, რჩეული ნიმუშების გამოცემისას, უნდა გაკეთდეს.

ეს კრებული სათანადო დახმარებას გაუწევს ქართველურ ტომთა ზეპირსიტყვიერებით დაინტერესებულ ყველა პირს, აგრეთვე სასარგებლო იქნება ენათმეცნიერთა და ეთნოგრაფთათვის, საერთოდ ქართული კულტურის ჰკვლევართათვის.

ა. ცანავა,

1970 წ. აგვისტო

უმისაველი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხალხური ზეპირსიტყვიერება ასახავს ხალხის ცხოვრების ყველა მხარეს და მისი მასალა საუკეთესო საშუალებაა საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდის შესასწავლად. ხალხური შემოქმედება, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „გამოხატავს ხალხის ისტორიას, მის მისწრაფებასა და იმედებს. ის მეტად მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს მასებზე აღმზრდელითი ზეგავლენისათვის“¹.

ქართული კულტურის მოამაგენი გრძნობდნენ ხალხური სიტყვიერების დიდ მნიშვნელობას და ადრევე მოჰკიდეს ხელი მისი შეგროვება-შესწავლის საქმეს; განსაკუთრებით XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დიდი ილიას მეთაურობით ინტენსიური მუშაობა დაიწყო ამ დარგში, მაგრამ საქართველოს ყველა კუთხეში ერთნაირი ინტერესით როდი ხდებოდა მასალების შეკრება. უწყურადღებობის გამო წარსულს გადაჰყვა და დაიკარგა კოლხური ზეპირსიტყვიერების ბევრი ნიმუში, ვინაიდან ადგილობრივი მკვიდრნი თავის დროზე არ დაფიქრებულან ამაზე, ხოლო ჩამოსულ მკვლევრებს ცოტა გაუკეთებიათ ამ დარგში.

გამოჩენილმა ქართველმა ენათმეცნიერებმა იმუშავეს მეგრულის გრამატიკული წყობის გამოსარკვევად. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. ალ. ცაგარელი,² რომელმაც პირველმა მოგვცა სერიოზული გამოკვლევა მეგრულის შესახებ, ხოლო შემდეგ პროფ. ნ. მარის ინიციატივით მისმა სახელოვანმა მოწაფემ პროფ. იოსებ ყიფშიძემ შეადგინა ვრცელი, ფუნდამენტური (და დღემდე ერთადერთი) გრამატიკა მეგრულისა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ)³. ამის შემდეგ მეგრულის შესახებ არა ერთი ცალკეული წერილი გამოქვეყნდა (პროფ. არნ. ჩიქობავა, პროფ. ვ. თოფურია, პროფ. გ. როგავა, პროფ. ტ. გუდავა და სხვ.), გამოიცა ტექსტებიც (შ. ბერიძისა, მ. ხუბუასი)⁴, მაგრამ მეგრული ფოლკლორის შესწავლა ჯერ კიდევ ჩამორჩება იმ მაღალ დონეს, რასაც მიადრწია ჩვენში ქართული ფოლკლორის მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ.

¹ Русский фольклор, хрестоматия, сост. Н. Андреев, уч. пед. из., М. Л., 1938 г. стр. 29.

² А. Цагарели, Мингрельские этюды, вып. I и II, СПб., 1880.

³ И. Килшндзе, Грамматика мингрельского (инверского) языка, СПб., 1914.

⁴ შ. ბერიძე, მეგრული ენა, თბილისი, 1920 (ხელნაწერის უფლებით); მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბილისი, 1937; მიგრული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები გამოქვეყნებულია აგრეთვე „მასალათა კრებულის“ (СМОНПК) ცალკეულ ტომებში, საიმიუშოდ გაოსცა აკად. ა. შანშიძემ „ქალ-ვაჟიანი“ (იხ. „ლიტერატურული ძეგანი“, ტ. VIII), სამეგრელოში ჩაწერილი მასალები აქვს გამოყენებული პროფ. მ. ჩიქობავას თავის მონოგრაფიაში—„მიჯაჭვული ამირანი“ და სხვ.

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების სიმდიდრეზე მრავალი ფაქტი მერყელებს, მისი შეკრება-შესწავლის საქმეს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში, დიდი მონდომებითა და გულისხმიერებით ეკიდებიან ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებები.

სამეგრელოში შემონახული ხალხური შემოქმედების ნიმუშები მრავალმხრივი და მდიდარია. მის სიმდიდრეზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ დღემდე შეკრებილი მასალების მიხედვით; ეს მასალა მცირე ნაწილია იმ ზღვა მასალისა, რომელიც უამთავლას გაჰყოლია.

ზუგდიდსა და მის მეზობელ რაიონებში დღესაც ცნობილია ზოგიერთი ხალხური მოღვესის სახელი, ასე, მაგალითად: კიბა ფაჯავა, ნაურუზ გრიგოლია, გრ. ქვარაია, პეპუ ქარდავა, პეტრე მეუნარგია, იასონ ხარაშვილი, ლიპარ წითლიძე, ჭურუ შედანია და სხვები, რომელთა მიერ შექმნილი ლექსების დიდი ნაწილი უკვე დაკარგულია ან ჭერ კიდევ მიგნებული არ არის. არსებობს სათანადო მასალები, რომ სამეგრელოში განთქმული მოღვესე და ჩონგურზე მომღერალი კიბა ფაჯავა მთაერებს — ლევანსა და დავით დადიანებს ჰყავდათ მიწვეული სსახლეში. სამეგრელოში თურქთა შემოსევის დროს, 1855 წელს, ის თურქებს ეკატერინე ჰავეჟაძის ქაშუშად მიუჩინვიათ და სიკვდილით დაუსჯიათ⁵.

კიბა ფაჯავას სახელთან დაკავშირებული ლექსები ძალზე მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი. აქვე შეიძლება ითქვას პეტრე მეუნარგიას შესახებაც, ზოლო დანარჩენების მხოლოდ სახელებია შემოგვრჩა. ვფიქრობთ, რომ დღემდე ჩვენში ზეპირი გადმოცემით შემორჩენილი და გავრცელებული ლექსების ნაწილი მაინც მათ მიერ უნდა ყოფილიყო გამოთქმული. იმის დადგენა, თუ ვის რომელი ლექსი ეკუთვნის, ამჟამად უკვე ძნელია.

მეგრული ზეპირსიტყვიერების ცნობილი შემკრებნი და მკვლევარები ალ. ცაგარელი, ი. ყიფშიძე და შ. ბერიძე მიუთითებდნენ, რომ ჭვარის მხარეში (წალენჯიხის რაიონი) ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალები დეტალურად არ იყო შესწავლილი.

ჩვენ მასალის შეკრება დაეწყო ამ კუთხიდან. შემდეგში კი განვაგრძეთ ზუგდიდსა და მის მეზობელ რაიონებში. წარმოდგენილი ლექსების თარგმანი უაღრესად მიახლოებულია დედანთან (მაგრამ ყოველთვის სიტყვასიტყვითი თარგმანი მაინც არ არის)⁶. ჩვენს პირველ ცდას, რა თქმა უნდა, ნაკლები ექნება, მაგრამ ამ კუთხეში მასალების შეკრება-შესწავლა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, ჩვენს ნაკლსა და მიღწევებს შემდგომი შემკრებნი და მკვლევარნი ვაითვალისწინებენ.

ზუგდიდსა და მის მეზობელ რაიონებში ჩვენ მიერ შეკრებილი ხალხური ლექსები თემატურად მრავალფეროვანია: 1. სამშობლო, 2. სატრფიალო, 3. წუთისოფელი, 4. სოციალური და კლასობრივი უსამართლობა, 5. საწეს-

⁵ დ. ლემონჯაია, გლხთა აჯანყება სამეგრელოში, თბ.ლისა, 1957, გვ. 42.

⁶ თარგმანებში წარმოდგენილი ნიმუშები პოეტურად იყო თარგმნილი. აქაც მანძისა და სხვების რჩევით შემდეგში გაკეთდა სიტყვასიტყვითი თარგმანი, ოღონდ აქა-იქ, სადაც დედნისეულ სტროფებს ესადაგებოდა, დატოვებულია პოეტური თარგმანიც.

ჩვეულებო და სამონადირეო, 6. სატირა და იუმორი, 7. თანამედროვე ლექსები და სხვ.

ამ ნაშრომში წარმოდგენილი ლექსები პირველად ქვეყნდება⁷. ტექსტებში გვხვდება მეგრულისათვის დამახასიათებელი ბგერები „გ“ და „ც“. არქაული სიტყვები და იდიომური გამოთქმები განმარტებული გვაქვს სქოლიოებში. ქართულ თარგმანში აზრის ზუსტად გადმოცემის მიზნით საჭირო გახდა სხვა სიტყვების ჩამატება, რომლებიც ყველგან ფრჩხილებშია ჩასმული. ზოგიერთი სიტყვა უცვლელადაა გადატანილი და მისი მნიშვნელობა სქოლიოშია განმარტებული, მაგალითად, „ორთა“ და სხვ. თარგმანში სინტაქსური წყობის შენარჩუნების მიზნით ზოგიერთ ლექსში საჭირო შეიქმნა მოსახლერე სტრიქონების გადასმა (ადგილების შეცვლა).

აქ წარმოდგენილი რეეოლუციამდელი ხალხური შემოქმედების ნიმუშები სიზუსტით ასახავს წარსული დროის ჩვენი საზოგადოების მდგომარეობას, სოციალური და კლასობრივი ჩაგვრის მძიმე პირობებს.

სამშობლოს თემაზე ამ კრებულში შესული ლექსები გამოხატავენ სამშობლო ქვეყნსადმი უანგარო სიყვარულს.

მეგრულში „ნანა“ მხოლოდ აკენის სიმღერა როდია, ის საზოგადო სახელის „დედის“ ბადალი სიტყვაა. ამიტომაც, რომ აკენის სიმღერას „ნანას“ ვუწოდებთ, ვინაიდან ის „ნანას“, ე. ი. დედის სპეტაკი სიყვარულითაა გამთბარი. დედა აკვანშივე უნერგავს შვილს რომ არასოდეს დაივიწყოს თავისი კუთხე — საქართველო, თავისი ფაცხა და კერა. ეს აზრია გატარებული ლექსში — „ნანა-სქუა“ (ნანა-შვილო). ნანას (დედის) რძეშერგებული ვაჟაკები, სამშობლო ქვეყნის შავბედითობის გამო უცხოეთში წამებულნი, უბით დაატარებდნენ სამშობლოს მიწას და ისევე არ ივიწყებდნენ მას, როგორც დედის ტკბილ რძეს.

ნანას საამო ხმაში ჩვილი ისმენდა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის წინდა საგალობელს და მისი მტრების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოწოდებას.

„მარა სქუა, გოჩინა,
რთხორე, ირო ქორშედას:
ოკიში ვაძირა ნტერც,
ოში ქეკორთხოზუდას!“

„მაგრამ შვილო, გაბარებ,
გთხოვ და მუდამ გახსოვდეს:
ზურგი არ უჩენო მტერს,
ასიც რომ მოგდევდეს!“

ასე აბარებს თურქებისაგან აწიოკებული და ურთის მთას შეფარებული დედა ახალწამოჩიტულ ყრმას. ამ ლექსებში ისმის თურქთა შემოსევებით წანებული ქართველი ხალხის კენესა-წუხილი.

ომერ-ფაშას შემოსევებთან დაკავშირებით არის შექმნილი ლექსი — „ახ, დობლური, დობლური“ (ახ, მოკვდი, მოკვდი). სამშობლო ყოველთვის შეადგენდა ერთ-ერთ მთავარ თემას მთქმელებისათვის.

სამიჯნურო-სატრფიალო ლირიკა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში განსაკუთრებული სიძლიერით არის წარმოდგენილი. ამ თემაზე შექმნილ ლექსებს

⁷ ი. ყოფშიძის შრომიდან ჩვენ გადმოვღეთ ორი ლექსი: „მახა, მა სქანო კარაზ ვორდა“ (მახა, მე შენთვის კარა ვყო) და „ნანა“.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეგრულ ზეპირსიტყვიერებაშიც. აქ გადმოცემულია წმინდა გრძნობით ანთებული, ერთისადმი ტრფობის წრფელი და მწვავე განცდები. ცნობილ სასიმღერო ლექსში „ამ ქვეყნად ერთი დამიდის“ ნათქვამია:

„აჲა ქინმოქინუს
სქან თოლი ღო წარ უჩას...
მუთ ვამიღუნ, ვამიღუ ღო
ზიღუნ, თითი ვამუჩას!“

„ერთხელ მაინც შემახვდა
შენს თვალსა და შავსა წარბსა...
რაც არა მაქვს, არა მაქვს და
რაც მაქვს, (ნეტავ) არც ის მომა!“

სიყვარულის წმინდა გრძნობით გულანთებული მიჯნური იღვწის, რომ მუდამ ახლოს იყოს თავის ტრფივალთან, ფარვანასავით თავს დასტრიალებდეს მას. ჩვენ მიერ ჩაწერილ სატრფიალო ლექსებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უიმედო სიყვარულით გამოწვეულ განცდებს. ეს ლექსებია: „უიმედო სიყვარული“, „ვინაა საცოდავი“, „ცოდვა და მადლი შენ გაბარია“, „ჩემი ნატვრა ხარ“, „მე რაღა მჭირს, ვიცი, მაგრამ“ და მრავალი სხვა. აქ ის აზრია გატარებული, რომ ტრფობით გატაცებული მიჯნური არაა დაიმედებული თავის სატრფოს თანაგრძნობაში და საშინელ ტანჯვას განიცდის. ის მრავალგვარაშუალებას მიმართავს, რომ გულიდან ამოიღოს ეს გრძნობა, მაგრამ ვერაფრით ვერ იშორებს და თვითონ უკვირს, როგორ უძლებს მისი გული ამდენ წვასა და ღაგვას;

„მუზმა მეტის მიღორღინი,
თიზმა მეტი ღაბალა რღი;
მუთ გაურზას ათე გურქუ,
ოიშახ ნაქვი-ნახალაქი?“

„რამდენადაც მეტად მიყვარდი,
იმდენად მეტი სენი ვახდი;
რით გაუძლოს ამ გულმა,
ასწერ დამწვარ-დადაგულმა?“

მეგრული „ქალ-ვაჟიანი“ სხვადასხვა ვარიანტების სახითაა გავრცელებული. ის წარმოადგენს ქალ-ვაჟის გააბასებას, გასაუბრებას, კამათს. ქალ-ვაჟის სიტყვა-მიგებაში გადმოცემულია ერთმანეთის ქება ან ძაგება; ბოლოს ეს დიალოგი ურთიერთშეთანხმებით თავდება.

პირველად ვაჟი უთვლის სატრფოს და ცდილობს გადაუშალოს მას თავისი წრფელი ზრახვები. ზოგჯერ მას უიმედობა იპყრობს და ბალღივით ქვითინებს:

„ეოჩანღი ჩქიმ ჭარგვალც
კარკვლო, უმიჩქურო,
ქემორთ ეგრი მპირხოლქ,
ღურქულეს მხიარულო;
ქეგმაშინ ჭოროფილქ.
გურქ ქალმაჲუ უნებურო,
ლოგინც თეში გიღემგარდი,
მუქოთ ჩქეჩქე უძუქურო...“

„ვიწევი ჩემს ჭარგვალში
უპატრონოდ, კარჩაქერილად,
მოვიდა ორი მერცხალი,
იეკიკიეს მხიარულად;
გამახსენდა საყვარელი.
გული დამწყდა უნებურად.
ლოგინში ისე ვტიროდი,
როგორც ზაჲში უძუქურად.“

ქალი პირველ ხანებში ამაყად იჭერს თავს, ღირსად არ თვლის ვაჟს და კიცხავს მას, მაგრამ ვაჟიც ქედს არ იხრის მის წინაშე და ბოლოს დაითანხმებს. პოემაში შიგადაშიგ ჩართულია მრავალი ხალხური ანდაზა და შედარება. ამ პოემის ნაწყვეტები ვარიანტების სახით სიმღერებადაა გასული ხალხში. მაგ. „მწყემსური“, „სატრფიალო“, „ვარდად რომ მეჩვენები“ და სხვ. „ქალ-ვაჟიანის“ მიბძვითაა შექმნილი მცირე ფორმის სხვა ლექსები და შაირები.

ამ კრებულში გვხვდება მეტად საინტერესო ფილოსოფიური აზრის შემცველი ლექს-სიმღერები.

ლექსში „ასეთია ადამიანის ცხოვრება“ გადმოცემულია სამღერავი ღვთისაღები. შვილის სიკვდილით გამწარებული მელექსე ეკითხება ღმერთს, თუ რა სარგებლობას პოულობს იგი დაბადებისა და გარდაცვალების დაწესებისათვის.

„ღორნო, დიხვამ სქან, სახეჲ,
ქიანაჲ დგმარსებელი,
ართის ჭილ, მათის აბადე,
ნუ ვერზიებ სარგებელი?“

„ღმერთო, დაილოცოს შენი სახე,
ქვეყნის დამარსებლო,
ერთს კლავ, შორესა ბადებ,
რა გეძლევა სასარგებლო?“

ლექსებში: „ბერკაცის სინანული“, „სიბერე მომერია“, „შავი ბედი“ და „ვაი სიბერეს“ გამოთქმულია სამღერავი ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობაზე.

ხალხური ფილოსოფიური ლირიკის შედევრია ლექსი „ბორჯი“ ანუ „დროჲში“, მასში გატარებულია დედააზრი ცნობილი ქართული ანდაზისა— „დრონი მეფობენ და არა მეფენიო“. ლექსი არის ფინალი ხალხური პოემისა „ორი მკვდელი“, სადაც ასახულია ბატონყმური უსამართლობის წინააღმდეგ 1856—57 წლების აჯანყებისათვის სამეგრელოს გლეხთა საშუადისი. ავტორ-მთქმელს ეს ლექსი საჯანგებოდ დაურთავს პოემისათვის, ვინაიდან, მისი აზრით, გლეხთა აჯანყება უსამართლობის წინააღმდეგ აუცილებელ მოვლენას წარმოადგენს და იგი დროთა სვლის დამახასიათებელია. ავტორ-მთქმელის შეხედულებით, არსებულის უყეთესით შეცვლა დროთა მსვლელობას აბარია, დრო აუჩქარებლად და თანაბრად მისრიალებს. ის სამყაროს შექმნის მოწმეა, მისი კანონმდებელია, მიუდგომელი მსაჯულია, რომელიც შრომას, ამაგს არაფის არ დაუქარავს და ყველას აძლევს თავ-თავის წილს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი სოციალური უსამართლობის ამსახველი ქართული ხალხური პოეზიის მასალები ძირითადად ბატონყმურ ურთიერთობას ეხება და მეტ-ნაკლებად ასახავს ბატონყმური წყობილების სიმწვავესა და სისასტიკეს. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, როგორც ისტორიულად ცნობილია, საქართველოს ზოგიერთ მხარეში ბატონყმობას ადგილი არ ჰქონდა, ზოგან კი მკაცრ ხასიათს ატარებდა. ამდენად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარის ფოლკლორული მასალებიც მეტ-ნაკლები სიმწვავეით ასახავენ ამ ეპოქის უსამართლობის მოვლენებს.

ისტორიულ, მხატვრულ და ფოლკლორულ ძეგლებში ნუგზარ არაგვის ერისთავი დახასიათებულია, როგორც გულზვიადი, ამაყი და სასტიკი მებატონხე, რომელიც ამაოდ ცდილობდა მის მეზობელ თავისუფლებისმოყვარე მთიულტობთა დაპყრობას. იგი თავის ყმებს მეტად სასტიკად ეპყრობოდა, რაც მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ ხალხურ მოღვესეებს.

ასევე მრავალი ლექსი არსებობს ქართლის მებატონეთა გულქვაობაზე. ადგილობრივი მებატონეები, მუსლიმანური ქვეყნიებიდან შემოპარული ყაჩაღები (ჩვენში „ყურსალების“ სახელით ცნობილი) იტაცებდნენ ყმა გლეხებს და ყიდდნენ საერთოდ ცნობილ ბაზარზე—ხალციხეში, ანაკლიაში, წყინელდამი და სხვაგან.

ბატონყმურ სამეგრელოში იშვიათი არ იყო მებატონეთა მიერ ყმა გლეხების ყიდვა-გაყიდვის, ჩუქებისა და გაცვლა-გამოცვლის მაგალითები.

„საქართველოში მე-19 ს. 30—40-იანი წლებიდან ფულადი მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით გამწვავდა გლეხთა ჩაგვრა. მეზატონენი გლეხებს უფრო მეტ მუშაობას, სურსათ-სანოვავებსა და ფულს სთხოვდნენ. ხშირად გახდა ყმაგლეხთა ცემა-ტყემა, ხეზე გაკვრა, ბორკილის გაყრა, სარდაფში ჩადება, ურემსა და კევრში შეგმა — უღლის ქვეშ სიკვდილი, ყმათა ცოლებისა და ქალიშვილების გაუპატიურება. მეზატონენი ხშირად ყმებს ოჯახისაგან მოწყვეტილად კი ჰყიდდნენ. ისინი ამორებდნენ მშობლებსა და შვილებს, რომლებსაც ზოგჯერ ცხენებზე, ქორ-მიმინოებსა და მეძებარ-ძალღებზედაც კი ცვლიდნენ“⁷.

ანალოგიური მდგომარეობა იყო სამეგრელოს სამთავროშიც. აქ ბატონ-ყმური ჩაგვრა მთელი სისასტიკით ვლინდებოდა. ყმაგლეხი წარმოადგენდა უბრალო ნივთს ბატონის ხელში, რომლის ყიდვა-გაყიდვა, გასაჩუქრება, გაცვლა-გამოცვლა და მზითევად გატანება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ადგილი ჰქონდა ყიდვა-გაყიდვასა და გასაჩუქრებას მთელი ოჯახებით, უძრავ-მძრავი ქონებით. ამის შესახებ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის (ზსიემ) ფონდებში დაცულ მასალებში ვკითხულობთ:

„წყალობთა ღვთისთა თავადმა სახლთუხუცესმა ჩიჩუა ხუხუმ... შენ ჩვენს მოყვარეს იესე მეუნარგიას და შენს მეუღლეს — რუსუდან ლოლუას ასულს... გიბოძეთ ერთი ჩვენი სამკვიდრო კაცის შვილი თაბუა ალანია“.

ანდა კიდეც: „ბატონიშვილმა გიორგიმ, ბატონის დადიანის გრიგორის ნებთა და ბრძანებით“ უბოძა ქაიხოსრო გელოვანს და მის შვილებს ყმები — კაკაქიშვილი ხოსიელა და მისი შვილები სვიმონიკა, როსტომა, გაბრიელა და გოგოლა ორი უმცროსი მათი ძმებით, მათი ცოლშვილით, საქონლით, სახლ-კარით „საძებარ-უძებრით“⁸.

კიდეც სხვა ფაქტი:

„ბატონმან ოდიშ-ლეჩხუმ-სვანთა და აფხაზთა ვიდრე შავ ზღვამდე მპყრობელმა გენერალ-მაიორმა და სხვათა ორდენთა განსხვავებულმან კავალერმან მთავარმა დადიანმა ლეონმან“ უბოძა მის „ერთგულ ყმას გელოვანს ბერს და მის ძეს ბესარიონს სოფ. სურმუში მისი შემავალი გლეხები, ოვანე, ჩიქოვანისა და დათიკია ჩიქოვანისეული ადვილ-მამული, ტყით, ველით საძებრითა და უძებრით 1816 წლის 11 აგვისტოს“⁹.

სამეგრელოში გლეხთა მიმართ იყენებდნენ დასჯის სხვადასხვა საშუალებებს — ყმაგლეხებს აბამდნენ ხაჯალურებით (ძძიმე ჯაჭვით), სვამდნენ ხუნდზე, აგდებდნენ დილეგში და სხვ...

ყმაგლეხების შეუბრალებელი ჩაგვრა-წამებისა და დაბეჩაეებული მდგომარეობის შესანიშნავი დახასიათებაა მოცემული სამეგრელოს 1856—57 წლების გლეხთა აჯანყების მეთაურის უტუ მიქავას მჭევრმეტყველურ სიტყვებში. რომელიც წარმოთქვა მან აჯანყების ჩასაქრობად ჩამოსული ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის — ნ.პ. კოლუბაჯინის წინაშე.

მეზატონეთა შეუზღუდველ ნება-სურვილზე დამოკიდებული ყმა გლეხების აუტანელ პირობებზე მიუთითებს აგრეთვე აღნიშნული გლეხთა აჯანყების ცხა-

⁷ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, ნ. მესხია, პ. რატციანი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 423.

⁸ ზსიემ, სიგელ-გუჯრები, საბუთი № 11.

⁹ ზსიემ, სიგელ-გუჯრები, საბუთი № 20.

რე დღეებში ოლქის მმართველისადმი მეზატონე ფალაგების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა-განაცხადი, რომელშიც ნათქვამია:

— „გლუხები ღმერთმა ფალაგებისათვის გააჩინა, ისე, როგორც ძროხა, ცხენი და სხვა ცხოველი ადამიანისათვის. ცხოველი ხანდისხან ნებვირობს და ურჩობას იჩენს, მაგრამ მას ჯობით ამშვიდებენ. ასევე საჭიროებს გლეხი დამშვიდებას, როგორც ცხოველისაგან ადამიანი არ გამოიქრება, ისე გლუხისაგან ადამიანი“¹⁰.

ფალაგების ეს განაცხადი ტიპური იყო; ასეთივე რწმენით იყვნენ გაუღენთილი სხვა მეზატონეებიც. ამიტომ აუჩანყდნენ ყმა გლუხები თავიანთ მეზატონეებს, როგორც ეს უტუ მიქიას მიერ კოლუბაყინის წინაშე გაკეთებულ განცხადებაშია აღნიშნული.

ზატონეზმურ სამეგრელოში იშვიათი არ იყო მეზატონეთა და ყურსალთა მიერ ყმების გატაცებისა და ყიდვა-გაყიდვის მაგალითები. ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის სახელის წარმოქმნას ამ მოვლენას უკავშირებენ. მაგ., ანაკლია, შვიი ზღვის ყურე ზუგდიდის რაიონისა, ყმების საეპრო პუნქტად ყოფილა აღიარებული. თურქებს აქედან გაჰყავდათ სამეგრელოში ხარკის სახით მოგროვილი თუ მეზატონეთა და ყურსალთა მიერ გაყიდული ადამიანები.

ენგურის შესართავთან, ანაკლიაში შესყიდულ ტყვეთათვის ყოფილა საგანგებოდ აგებული ჯიხა—ციხე, რომელიც ამჟამადაც დგას ენგურის შესართავთან—ანაკლიაში, აქედან ხომალდზე გადაყვანისას ტყვეთა გლოჯა-ქვეთინი და ყვირილი ზარავდა ამ კუთხეს. ზეპირსიტყვიერების მასალების მიხედვით, აქედან წარმოდგა „ანარკია“ — „აღნარკიადან“. ამ ძნელად დასავიწყარ მოვლენებთან ერთად ამ კუთხის ხალხური შემოქმედების ნიმუშებში („მოჯალაბე ყმის გოდება“, „ბურღა“, „შენ არ გახსოვს ბათია“) მუქი საღებავებითაა დახატული ბატონეზმური ურთიერთობა.

მეზატონენი ყმებს დავალების შეუსრულებლობისათვის სასტიკად სჯიდნენ, წკებლავდნენ და სხვ. ბატონისაგან დასჯილ გლუხს, როდესაც თავის ფაცხაში ბრუნდებოდა, ზოგჯერ ყურსალები წაადგებოდნენ თავზე, შეკოჭავდნენ და წებელდის გზით ყარაჩისაკენ გაუყენებდნენ. ამის შესახებ ჩვენში დღესაც შემორჩენილია მიმართვა „წებელდაში დაგადოსო“ („წებელც ქვდგოჲოთასია“), საიდანაც დაბრუნება შემდეგ შეუძლებელი იყო. ამაზე უთითებს დღემდე ჩვენს მხარეში სასიმღეროდ შემორჩენილი ლირიკული ლექსი—„სი ქოული, მა დომტალენქო“ („შენ მიდიხარ, მე აქ მტოვებ“). ეს ლექსი, როგორც ამას მოქმედებები გადმოგვცემდნენ, ხალხმა გამოუთქვა ყურსალების მიერ გატაცებულ ყმებს—თუთაშხია ანთიასა და კუზაია შელიას. ისინი შეუპყრიათ მდინარე ენგურის სანაპიროზე სოფელ ლიაში (წალენჯიხის რაიონი), თუთაშხია ანთია მაშინ შეუპყრიათ, როდესაც ის გაწყებლილი ბრუნდებოდა ლევან დადიანის სასახლიდან. ის დაებარებინა მთავარ ლევან დადიანს და დავალება მიეცა, ძალღების მოპყლეად დამდგარიყო სასახლეში. სამუშაოზე უარის თქმისათვის გაწყებულა მიუზღავთ მისთვის ერთი პირობით: თუ განსაზღვრულ წკებლთა დარტყმას უსიტყვოდ აიტანდა, თავისუფალი იქნებოდა ვალდებულებისაგან, თუთაშხიას დარტყმებისას ხმა არ ამოუღია. მას, ზურგდასიებულს, როცა ლიამდე მიუღწევია, ყურსალებს შეუპყრიათ, კუზაიასთან ერთად წაუყვანიათ ფხაზე-

¹⁰ კ. ბოროდინი, „სამეგრელო“, გვ. 358.

თის მხარეში და ბორკილი დაუდევიათ. ზამთარი ყოფილა და იმ საღამოს დიდი თოვლი მოსულა; მეორე დღეს ტყვეთათვის ბორკილი აუხსნიათ და შეშა უზიდინებთათ მახლობელი ტყიდან. უფიქრიათ: დიდ თოვლში ტყვეები ვერსად გაიქცევიანო, მაგრამ თუთაშხიას ეკალნარისაგან თხილამური გაუკეთებია და გაპარვა მოუსწრია. მას შორიდან ესმოდა თურმე კუზაიას მოთქმა-ტირილი, ის მისტიროდა ტყვეობიდან გაპარულ თუთაშხიას, თუთაშხია სახლში დაბრუნებულა (დღესაც ცხოვრობენ სოფელ ლიაში თუთაშხიას შთამომავალნი), კუზაია კი საბოლოოდ დაიკარგა. ვინ იცის, სად და რომელ მხარეში გაყიდეს და გადაკარგეს ყურსალეზმა. სოფელ ლიაში დღესაც უთითებენ ადგილს, სადაც კუზაია შეუპყრიათ ყურსალეზს. გადმოცემის მიხედვით, ზემოთ დასახელებული ლექსიცი ამ ამბავთან დაკავშირებით შეუქმნია ხალხს. დროთა განმავლობაში ეს ლექსი სიმღერად ქცეულა და ცნობილია „სი ქოული, ბატას“¹¹ სახელით. ამ სიმღერის სხვადასხვა ვარიანტს ვხედვით ხალხში. ერთი ვარიანტი ალ. ცაგარელს აქვს გამოქვეყნებული თავის შრომაში.

ძველი დროიდან შემონახული პოპულარული ხალხური სასიმღერო ლექსი „ბურლა“ ასახავს იმ ფაქტს, რომ ბატონყმურ სამაგერლოში საბატონო გადასახადებთან ერთად ყმაგლეხებს ევალებოდათ წლის განმავლობაში ერთხელ შიე-პატრიჯათ თავისი მებატონე და წვეულება გაემართათ მისთვის. ასეთი სახის გადასახადს „გოკკომური“ (საყმო სოფლების სმა-ქამით შემოვლა) ერქვა. ასეთი „წვეულების“ დროს მებატონეს ქალი ან ვაჟი თუ მოეწონებოდა, წითელ ძაფს შეაბამდა ყელზე, ის მისი მახელდებულად ითვლებოდა და როცა მოისურვებდა, მაშინ წაიყვანდა სასახლეში შინამოსავსახურედ („მუარხედ“, ე. ი. შოახლედ). რომლის შემდეგ ნებისმიერად მოქცეოდა — გაყიდდა, გასაჩუქებდა და ა. შ. ამიტომ ყმაგლეხისათვის თავზარდამცემი იყო ასეთი „წვეულება“.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც გამწვავდა წინააღმდეგობა ბატონსა და ყმას შორის, ზოგიერთი ყმაგლეხი უარს ამბობდა საბატონო გადასახადზე და მით უმეტეს „გოკკომურზე“. ასეთ გლეხს აითვალისწინებდნენ მებატონენი და, გლეხს წინააღმდეგობა რომ არ გაეხდებოდა, გაძლიერებული ამალით ეწვეოდნენ, მოულოდნელად თავს ესხმოდნენ და აჩანაგებდნენ ოჯახს.

ალეგორიული სასიმღერო ლექსი „ბურლა“ ასახავს მეტად მკაცრი და თვითნება მებატონის — ბურლას თარეშს თავისი ყმაგლეხის ოჯახში. გადმოცემის მიხედვით, ის კულუხის გადასახადს მოსავლის აღებამდე მოითხოვდა, აგრეთვე „გოკკომურზე“ მოულოდნელად ეწვეოდა გლეხს. ამიტომ ის ტურის სახითაა წარმოდგენილი ლექსში, ძალღებად კი — მისი მხლებლები, მოურავები და სხვანი, ხოლო მკათათვეში თოვლის მოსვლა გამოხატავს ბურლას მიერ გადასახადის ადრე მოთხოვნასა და „გოკკომურზე“ წვევას.

წალენჯიხის მხარის ყველაზე მკაცრი მებატონის, ტარიელ დადიანის ქვრივის „გურიელხეს“ და მისი მემკვიდრის ფარნაოზის მხრივ ყმა გლეხების ჩაგვრის მძიმე ეპიზოდებია გადმოცემული პოემა „ორ მკედელში“. აღწერილია, თუ როგორ ავიწროებდნენ ქაქვიანჯელ. ობუჯელ და წალენჯიხელ ყმაგლეხობას მებატონენი და რატომ აჩანდნენ მათ წინააღმდეგ გლეხები მკედელ უტუ მიქავას მეთაურობით.

¹¹ ბატა — მიმართვის ფორმა, ქების და აღერის გამოხატვალი, ისეთი, როგორც „რდალა“, „მახარია“ და სხვ.

მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში მებატონებთან ერთად არანაკლები სიძულვილითაა მოხსენებული სამღვდელოება. სასულიერო წოდებასაც ჰყავდა იავეისი ყმები — „სასულიერო გლეხები“. სასულიერო წოდება გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურებოდა. მებატონეთა მსგავსად სამღვდელოება ფლობდა ადგილ-მამულებს ყმაგლეხებითურთ, ყიდულობდნენ და ყიდდნენ ყმებს. არსებობს ყმის გასაჩუქრების მრავალი ფაქტიც. მაგალითად, თავადმა მდივანბეგმა ბერმა ქაიხოსრო გელოვანმა და მისმა ძემ ბესარიონმა მღვდელმონაზონს დოსითეოს ივარდავას მიჰყიდეს მათი საკუთარი ძირის ყმის — გაბოლია გვიშინის შვილი სვიმონა 1825 წელს 25 ოქტომბერს. ამავე ნასყიდობის წერილში მოხსენებულია გაბოლია გვიშინი, რომელიც 1848 წლის იანვარში მიყვიდა გრიგოლ ლევანის ძე დადიანს¹².

ხალხურ შემოქმედებაში სამღვდელოება ყველგან უარყოფითად არის დახასიათებული. მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში ამის მრავალი ნიმუშია დღემდე შემორჩენილი. მათ შორის ამ კრებულში შეტანილია მხოლოდ დღემდე გამოუქვეყნებელი ლექსები („მღვდლის სიზმარი“, „მღვდელს“ და „ხუცეს“).

მრავალი ლექსია შექმნილი სალდათობაზე, რომელიც მძიმე ტვირთად აწუხებდა მშრომელ მოსახლეობას. კრებულში წარმოდგენილია სალდათობის ამსახველი ლექს-სიმღერები.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების პირობებში მშრომელთა მდგომარეობა აუტანელი შეიქმნა, ამიტომ მშრომელთა აჯანყებებმა და მღელვარებამ რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე მასობრივი ხასიათი მიიღო. მწვავე ხასიათისა იყო გლეხთა აჯანყება საქართველოშიც.

ამ პერიოდის ხალხური შემოქმედების ნიმუშებში ნათლად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ რევოლუციურმა მოძრაობამ მძლავრად შეარყია რუსეთის იმპერია და მისი განაპირა ქვეყნები, რომ რევოლუციის ქარიშხალი მძლავრად შემოიჭრა საქართველოში და საბურველი ჩამოხადა მეფის სატრაპებს; ერთობის ხმამ მძლავრად დაიქუხა ზუგდიდის მაზრაშიც. ეს აზრია გატარებული ზუგდიდის მაზრაში 1905 წლის რევოლუციის პერიოდში შექმნილ ლექსში — „1905 წანაში რია“ („1905 წლის ამბობება“).

რევოლუციური იდეები ჩვენში 1905 წელს „ერთობის“ სახელით შემოვიდა, აჯანყებული გლეხობა ერთიანი ძალით აღუდგა წინ უსამართლობას. ისინი ღოთხოდნენ მეფის ჩამოგდებას, მიწების განაწილებას, წოდებათა მოსპობას, ძმობას, ერთობას, თანასწორობას, ლექსში ჩართულია აჯანყებულთა გამამხნეველები მოწოდებები.

ავტორ-მთქმელი აჯანყებულებს ადარებს შავ ზღვაში შეჭრილ ხომალდს, რომელსაც მიზნად დაუსახავს გადალახოს ზღვის ზვირთები და მიაღწიოს გაღმანაპირს, სადაც მოელის ნათელი მომავალი. „მაგრამ მტერები გვაჩერებენ“ — დასძენს ავტორ-მთქმელი, მეფის მთავრობა ყველგან სასტიკად უსწორდებოდა რევოლუციონერებს.

აღინანოვ-ავარსკის რაზმები საქართველოს მაზრებში სისხლის მორევში ახრჩობდნენ გლეხთა მოძრაობას. ამ რაზმებმა ზუგდიდის მაზრაში გადაწვეს რამ-

¹² ზსიემ-ის საარქივო ფონდები (სიგელ-გუჯარები). საბუთი № 5.

დენივე სოფელი. სოფლებში ჩაყენებული დამსჯელი რაზმები ძარცვავდნენ, აპატიმრებდნენ, ხერხდნენ რევოლუციონერებს¹³. ანალოგიური შინაარსისაა ჩვენ მიერ სოფელ ობუქში ჩაწერილი ლექსი — „ქარწყეთო, ჯიმაღეთი“ — („ხედავთ, ძებო?"), რომელიც საბრძოლო ჰიმნად ყოფილა გასული ხალხში.

ლექსში კონკრეტულადაა ასახული ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილებისათვის დამახასიათებელი კლასობრივი ანტაგონიზმი, რომ გაბატონებული მდიდართა კლასი დაუნდობლად ძარცვავდა მშრომელებს, სტაცებდა ნაოფლარს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შექმნილი ხალხური ლექსების უმეტესობა წარმოადგენს რევოლუციების პერიოდში შექმნილი ტრადიციული ლექსების თავისებურ გაგრძელებას. ძირითადად მათ კვებავს ახალი თემატიკა, რომელიც გამსჭვალულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის პათოსით. ამის პარალელურად ამ ლექსებში გატარებულია ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისა და კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დაუცხრომელი სულისკვეთება.

ლექსში — „მადლობა რევოლუციას“ — ასახულია რევოლუციის სიდიადე და მუშურ-გლეხური ხელისუფლების ძლევამოსილად გამარჯვება ჩვენში. მასში შიგადაშიგ ჩართულია რევოლუციამდელი სოციალური უსამართლობის ამსახველი ფაქტები და შემდეგ მას მოსდევს რევოლუციური ძალების ქებადიდება:

„ხეაშელ ორდას ბუნებაზე
თეში გემასწორებელი,
ამიორშე მომისებს
ჩქენი დამამონებელი...“

„დაილოცოს ბუნებისგან
ამის გამასწორებელი,
ამიერიდან მოვეისპო
ჩენი დამამონებელი...“

ავტორ-მთქმელს გზადაგზა ჩართული. აქვს რევოლუციამდელ გლეხთა უღუფლებო მდგომარეობის, მათი დუხჭირი ცხოვრების რეალისტური სურათები.

სახალხო მეურნეობის აღდგენის შემდეგ, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის განსახორციელებლად დასახული ხუთწლიელების შედეგად, ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა მძლავრ ინდუსტრიულ მშენებლობას.

ჩვენს მხარეში არსებული მდიდარი ბუნებრივი რესურსების ასათვისებლად აშენდა მრავალი ფაბრიკა-ქარხანა. მათ შორის, ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატი, რომელსაც 1930 წლის 1 მაისობაზე სადღესასწაულო ვითარებაში ჩაეყარა საფუძველი. ზუგდიდის მაზრის მშრომელები 1 მაისის დღესასწაულთან ერთად ზეიმობდნენ ამ გიგანტური მშენებლობის დაწყებას. ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით მშრომელი ხალხის აღფრთოვანებაა გადმოცემული ლექსში „კომბინატის ქარხანა“. აღნიშნულ ლექსში აღწერილია საბჭოთა გიგანტის — ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის

¹³ მაგ. ქ. ზუგდიდის ხეივანში ქაღარზე მიაბეს და საქაროდ დახვრიტეს ბ. შაპუჯია, სოფელ ქაქვიჩში — დიმიტრი გეთია და სოფ. კაღლაშში — ვასილკო აღშიბაია.

მშენებლობის გრანდიოზული ხასიათი, მისი მნიშვნელობა საბჭოთა ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

ავტორ-მთქმელი პარალელებს ავლებს ძველსა და ახალ ყოფას შორის, ხაზს უსვამს მეფის რუსეთის ტექნიკურ ჩამორჩენილობას და საბჭოთა ქვეყანაში პირველი ხუთწლედის მანძილზე ქვეყნის ინდუსტრიულ აღმავლობას.

ლექსის ბოლო სტრიქონში გადმოცემულია საბჭოთა მშენებლობის გრანდიოზული გეგმისა და ლენინური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ქვეყნის დიდების საგალობელი:

„გოუმორძგვას თი პარტიას,
მიქვთი თენა დასახენი.
ლენინური პარტიას,
ჩქენ ნტერეფი გოფათხენი.“

„გაუმარჯოს იმ პარტიას,
ვინც რომ ეს დასახა.
ლენინურ პარტიას,
ჩვენი მტრები რომ გაფანტა.“

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე დაიწყო შავი ზღვის სანაპიროზე სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა, რამაც ჩვენი მხარის მშრომელები დაუკავშირა საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებს. ამ მოვლენას ასახავს ლექსი — „რკინაში შარა“ („რკინის გზა“). სარკინიგზო მშენებლობასთან ერთად ჩვენი კუთხის მთქმელთა ლექსებში ნათლად აისახა სახალხო მეურნეობისა და კულტურული დონის ამოღებისათვის ბრძოლის თემატიკა. საქართველოს მთიან რაიონებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გზატკეცილებისა და ხიდების მშენებლობას. ამ თემაზე შექმნილ ლექსებს შორის აღსანიშნავია „ინგირიში ლეხერა“ („ინგურის ხეობა“), რომელიც ასახავს ამ მხარეში პირველი ხუთწლედის მანძილზე საგზაო მშენებლობას:

„ჩვეში დროსგ მი შინანდ
შონეში მალ მანქანას,
მარა ასე შინისარასალ
გოქკაილი მაგანას.“

„ძველ დროში ვინ ახსენებდა
სვანეთში წამსველ მანქანას,
ახლა სრიალით გაივლის
ბეტონის ხიდს მაგანაზე.“¹⁴

ჩვენი მხარის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში ინდუსტრიული მშენებლობის პარალელურად მკაფიოდ აისახა სოფლის კოლექტივიზაციის პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა ახალგაზრდა საბჭოთა ინდუსტრიის ბაზაზე, ამიტომ ამ თემაზე შექმნილ ლექსებში კოლექტივი და ტრაქტორი განუყრელი ცნებებია.

ლექსი „რკინაში ხოჯი“ („რკინის ხარი“) კოლექტივიზაციის პირველ დღეებში შეიქმნა და სიმღერად გავიდა ხალხში. მას ადრიდანვე დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდა. მისი ყოველი სტროფის ბოლოს დართულია ეპოქის შესაბამისი რიტმის შემცველი სასიმღერო პანგი—მელოდია, რომელიც წინა სტრიქონებში გადმოცემული შინაარსის დასკვნას წარმოადგენს:

„ხანდამ ქართას გაიკვავათთ
რკინამ ბუსქაქ, ყაზაყ-მუშაქ!
რაშარერა, ვორერა,
უქვეშ ვამაგორენა...“

„შრომის ფერხულში ჩავებათ
რკინის ბუსქას, მუშა-გლეხი
რაშარერა ვორერა,
უკეთესსა ვერ მოვძებნით...“

¹⁴ მაგანა — მდ. ინგურის მარცხენა შენაკადი.

¹⁵ ბუსქა — ხარის სახელია.

ციკლი ლექსებისა — „ჩემი ჩონგური“, „ზუგდიდსა და ხობს შუა“, „კო-
ლექტივი“, „ახალი ურმული“, „დედის წერილი ომში წასული შვილისადმი“ და
„შვილის პასუხი“ ასახავს საბჭოთა ქვეყნის ამალღებისა და განვითარების სხვა-
დასხვა ეტაპზე სოციალისტური მეურნეობისა და ინდუსტრიული მშენებლობის
გრანდიოზულ ხასიათს, აგრეთვე დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა
ხალხის გმირულ ბრძოლებს ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

დასასრულს მადლობას მოვანხსენებ ღვაწლმოსილ პროფესორს — აკადე-
მიკოს აკაკი შანიძეს, პროფესორებს: ტ. გუდავას, გ. შალამბერიძესა და ა. ცა-
ნაევას ამ კრებულის გამოსაცემად მომზადების საქმეში მეტად საჭირო და საქ-
მიანი დახმარებისათვის.

კალისტრატე სამუშია

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო
მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

ტექსტები

I. ს ა მ უ ო ბ ლ ო

1. ნანა-სქუა!

- ნანია, ნანა-სქუა,
ნანაშ კირიმა
არკვანიშა იშამჯანუ
ვარდიშ პირი მა,
5 გემნუეონწყი შქართუნი ღო
აშეოჩინი მა,
ბეა ღო თუთას ქოგურაფუ
იში კირიმა
10 ღლასე ვა გიჟვოლიღუა,
გოლგაფირი მა,
ათე ნანა შარგალური,
სქანი კირიმა
სქანი კუნთხუ საქორთუო,
ნანაშ პამო ბეა,
15 სქან ფაცხა ღო სქან ყებური,
სქანი კირიმა

2. საქორთუო

- თელ ქიანაშ არძა კუნთხუს
გეშნავორათ მიოჩქენა,
ირო გაზარხული რე ღო
საქორთუოს უძახენა.
5 სქემ ცირეფე, სქემ ბოშებე
მერჩქინელი თაქ უღ ბინა,
ვარა მუშენ იყი გლაზა
თე კუნთხუს ენარჩინა
ქართ-კახეთის გილენქენი,
10 დეგარძლე შური-გური,
არაგვი, მტკვარ-ალაზანი
მოჭურჩულე ქომოლური.
თოფურცალი პამო ხილცე
ბინე გინობუნადილი,
2. კ. სამუშაა.

1. ნანა-შვილო

- ნანინა, ნანა-შვილო,
ნანას კირიმა
აკვანში მიწვეს
ვარდის კოკორი მე,
5 გადაეხადე საბანი და
დაეკეპერი მე,
შხეს და შთვარეს დამსგავსებია
მისი კირიმა
10 მისღლეში არ დაიწვიე,
შემოგეღე მე,
ეს ნანა მეგრული,
შენი კირიმა
შენი კუთხე საქართველო,
ღედის ტბილი რძე,
15 შენი ფაცხა და შენი კერია,
შენი კირიმა

2. საქართველო

- მთელი ქვეყნის ყველა კუთხეში
რჩეულად (ის) მიაჩნიათ,
მუდამ გაზაფხულია და
საქართველოს ეძახიან.
5 ლამაზ ქალებს, ლამაზ ვაჟებს
ბინა აქ ექეთ მიჩენილი,
ან რატომ იქნება ცული
ამ კუთხეში გაჩენილი?
ქართლ-კახეთს რომ შემოიღო
10 გავიძლება სული-გული,
არაგვი, მტკვარ-ალაზანი
მთქრშიალებს ვაჟაკური.
თაფლსავით ტბილ ხეხილზე
ვენახს გადახლართული,

- 15 ატენიში ჭიშიშ ღვინი,
 ყურძენი ჭინძმარაული...
 უკულ კობტა იმერეთი,
 ორტინცალო მოკვანწილი,
 თაქ გურია დო აპარა,
 20 შონეთი, ფშაე-ხეესურეთი,
 ჩქინი მოკეთე დო ჭიმა —
 აფხაზეთი დო ოსეთი...
 უჩა ზღვასე ოხუტოლ გ
 ეღემიში სქვამი გური,
 25 სატეარო, ღართი-კაბა,
 ერთი-მორთი ოღიშური,
 ჭიქე-დიღის ინოძენა
 ცოტენ დაღიანიშ გური.
 საქორთუო რე თე მხარე
 30 თაშ სქვამაშე ხარხუნტელი,
 ამინებული ჩქენ ყებური,
 დალუური ჩქენი ნტერი.

3. ოღიშიშ შარას

- მისეთ შარა მერჩამუნ
 ზუგდიღშე ბეაიოლცე,
 ქვეშ სოფელი ჭაქინჩი რე
 ხვალე ეჯრი სათიშ ოლცე;
 5 ვითი ვერსი ვა იღენა,
 ქალადგრთი დიკოხონცე,
 კოძირათ ოძირაფუნნი,
 ვა დუჭერთე თქვანი თოლცე.
 მუკი-მუკი სუეფი რე
 10 მოთინილი ფალე ტყილი,
 ბამშობაში ცურუეფით
 გობანდილი, გოფინილი;
 ცაშა წვანდი უნქენ ფერი,
 არძო შხუ დო არძო რჩენცე,
 15 სუკიშ წვანცე ფუთქურამი
 ცხიმურეფი მუკორშინცე...
 ეჯრ საყენიშ მავიამე
 ემერ წყურაგიშ მოსოფუნცე,
 გვართა-გვართა მუკოხორცქე.
 20 ქუამ კიდას მიმამუნცე,
 უკულ ტყილცე უზოგარო
 გაანთხუე დო გვარგვალანცე,
 ჭუნუნცე სკროფილიცალო.
 ბონცენცე დო ხვარჩალანცე;
 25 თუდო ქვიშა ვარხილოში
 ეთმოცენცე, ვარკალანცე,
 ბეაშ ჩხორიას გემშტყობუე,
 შქასე მიშბარჩხალანცე.
 გიჩინეჲ იშო-აშო,

- 15 ატენური ჭიშის ღვინო,
 ყურძენი ჭინძმარაული...
 მერე კობტა იმერეთი,
 ბოსტანიეით მოკვანწილი,
 აქ გურია დო აპარა,
 20 სვანეთი, ფშაე-ხეესურეთი,
 ჩვენი მოკეთე დო ძმა —
 აფხაზეთი დო ოსეთი...
 შაე ზღვასე ხეხუტება
 ეღემის ღამაში გული,
 25 სატეარო, ჩოხა-კაბა,
 მიხრა-მოხრა ოღიშური,
 დიდ-პატარას (მკერდქვეშ) უძეეთ;
 ცოტენ დაღიანის გული.
 საქართველოა ეს მხარე
 30 ასე ღამაზად ხარხუნტელი,
 დე იხაროს ჩვენმა კერამ,
 დაილოს ჩენი მეტერი.

3. ოღიშის გზაზე

- ვისაც მგზავრობა მოგიხდა
 ზუგდიღის აღმოსავლეთით,
 ძველი სოფელი ჭაქინჩია
 მხოლოდ ორი საათის სავალზე.
 5 ათი კილომეტრის გავლამდე
 დაეშვები თავდაღმართზე,
 რომ ნახოთ სანახაობა,
 თქვენს თვალსაც არ დაუჭერებთ,
 გარშემო სერები არის,
 10 აღმართული ხალასი ტყილი,
 მამა-პაპეული სურთი
 დაბლანდული, შეფენილი;
 ცამდე კენწერო რომ უწედეა, ისეთი,
 ყველა ბებერი და მსხვილი,
 15 სერის თავზე ხაესიანი
 რცხილებია შექარული...
 ორი საყენის სიმაღლიდან
 ვეგრ წყარო (ღვარად) მოქებს,
 (ტალა) გროვა-გროვად მოხეთქს,
 20 ქვის კედელს ედღეება,
 შემდეგ (კი) ტყის უზოგველად
 ეხუთქება და თუხთუხებს,
 კოცნის შეყვარებულეფით,
 ბანს და ჩქაფუნით ეღერება;
 25 ქვეით (კი) ქვიშა ვერცხლისა
 ამოსციევა და პრიალგებს,
 მზის სხივები შეპარეულა,
 (და) შუაში ბრქეყიალებს.
 როცა ირგვლივ თვალს მოაკლებ,

¹ ხარხუნტელი—მოსატელი, მოჩქერთიუბელი სხედანსაე ფარჩითა და ფერეხით (სქეა-დასსვა სახის ჩქერჩიმის გრობილობა).

² ეს ლექსი არის ნაწყვეტი პოემისა „ორი მქედელი — უტუ და ბულათია“. იგი დამოუკი-ლებელი სახით არის გავრცელებული ხალხში.

30 ღვარძლულე შური. გური,
ხეშაგურშორო მოჩქე
ჩვემ ოხვამე წენდიხური;
კითა გვალა, თუღო სქური,
ნაოხვამე ობუჭური...

35 მუხურ-ნაცხა გოქაილიც
უჩინეჲე კარაკანო,
მინდორ გინოსჯლონგირი
გოფაჩელე შხვა აკანო..
თუღოღუმე შორც ოძირე —

40 ურთა, თეკართი დო ეკა.
ეიმოღუმე, გვალას გვალა
მურცხილ ეკი-ეკი...
სქან წოხოლე სუცი ვერე
შხვაჲე მოხარცქაფილი,

45 სუკო კოჩი ვენაგოთა,
ხეთე გიჩქე ვაფილი,
გინმიჩინე კანდორო,
სქეამას მოყუნაფილი,
ჭვეში ჰაქვინჭური ჩიხა
თელ ოღამის ცქაფილი;
ქუაშ კიდა გინოქვართე,
გახეტოლე სუკიშ დუცუ.
ქარია ტაშა ონკუნე ფერი,
შქა-შქას ყორშეფ ამაყუნცუ;

55 ფუტქურით გობონდილიც
ცურუმ ნაბად გინაქუნცუ,
თუღო სქეამი ჰენიფარი
ლენტიშორო მიყოყუნცუ.
კოჩიშ თოღეჲე მუ ძირასჲე

60 თეში მანგი ოძირადუ?
დღა დო სერი უჩინინი,
კინ ჩინაშა გური გაფუ;
ქური შხვაიდო მინჭუაფუ,
სოდგენ შორცე მილაჲაფუ.

65 ირფელ თეში მაძირაფუ
მუქართუქ დრო ულირცე,
დო რკითხულენც: „ამდღათ ვორდათ,
მუ იყიი, მუ უქირცე?“

4. ახ, დობღური

ახ, დობღური, დობღური,
თურქიშ ლეკურ მოგამილიც
მუს მოხვარე დოხთური,
ვართ მუთუნი შეღორსა,

30 გაგიძლება სული, გული,
ხელის შუაგულივით მოჩანს
ძველი საყდარი წალენჯიხური;
კითა გვალა! კვევით სქური,
ნასახვარალი ობოჭური...

35 მუხურ-ნაცხა გოქაილის
შეპყურებ (ხედაე) ნათლად,
მინდორი ვადასკრილი
გადაშლიდა სხვა კუთხითაც...
ქვეშო მხრიდან შორით მოჩანს —

40 ურთა, თეკლათი და ეკი,
ზეშო მხრიდან, მთაზე მთაა
აღმა-აღმა მისახსრული...
შენს წინაშე სერი დგას
სხვისაგან ჩამონასსლერი,

45 სერად კაცი ვერ ჩაადგებ,
გკონია ხელით ნაგები,
გადაპყურებს თავიმწონედ,
ღამაზად გამოყვანილი,
ძველი ჰაქვინჭური ჩიხა,

50 მთელ ოღამში ნაქები;
ქვის კედელი გამოტვილი,
სერის თაეს ვარს ეხვევა,
ქარწყლენი სიმალისა,
გუმბათები ჩართული აქეს;

55 (ირგელიე) ხავსით დაბლანდულს
სუროს ნაბად წამოღუსხამს,
ძირს ღამაზი ჰანაწყალი
მას მიპყვება ლენტის მსგავსად.
კაცის თეაღმა რა ნახოს

60 ამის მსგავსი სანახაე?
დღე და ღამე რომ უშზირო,
ისევე ცქერა ვინდება,
სული სხვაგან მიისწრაფის,
სადღაც შორს მიდის თამაშით.

65 ყველა ამის დამნახველი
წარსულ დროს მოუბრუნდები,
და გკითხება: „დღესაც ვიყოთ,
რა უქირს, რა იქნება?“

4. ახ, მოვეკლი⁴

ახ, მოვეკლი, მოვეკლი,
თურქის ხმალ დარტყმული
რას მივეყლის ექიმი,
არც რაჲე შელოცვა,

¹ კითა გვალა (წითელი მთა) მთის სახელია, რომლის ერთ ჩაქუეულ ოხვამე მდებარეობს ტბა—„ტობაგარსხილი“.

² ნაცხა-გოქაილი (გაქვილი), სოფ. მუხურში სოხისწყალზე ადრე არსებულ ძველ ქვან ხილს ეძახდნენ; გარდომით იმ ხილს რომელუბის ბატონობის დროს გვალუბის აგენეშულად თვლიან.

³ ურთა, თეკლათი და ეკი—მთებია სამეგრელოში.

⁴ ლექსი „ახ, მოვეკლი“—წარმოთქმულია თურქი დამპყრობელების მიერ დატყვევებული კობა დავაეას მიერ—დასქის წინ (1856 წ. ონერ-ფაშას შემოსევის დროს). დასჯა საჯარო ყოფილა. აქ გადმოცემული ამაჲეი ხალხი ფართოდაა გავრცელებული. მე ჩააწერე კობას შვილოშვილის 85 წლის აღ. დავაეას გადმოცემით. თურქების მიერ კობა დავაეას დ.ს.კ. მოხსენებული აქვს დ. ლუ. მონჯაეას წარმართი—„ივრეტია აჯანება სამეგრელოში“, თბილისი, 1957 წ.

5 ვართ ნიორ ღო თოფური...
ტანც ჩოხა ქვემოსოფეს,
კუჩხის ვამომო თათგმანი,
ვემეფხეადი მუ ღუაშე,
თურქეფ ღუც ბუკათგნანი?

5. ნ ა ნ ა
(თურქობაში დროში)

- ქემახუტოლი, ნანა-სქუა,
ღო მა თაქი გიღურქულა — ნანი-ნანა,
თურქ მეურტუ შარასია,
მუმასქანიშ ნაბურქულა — ნანი-ნანა.
- 5 მუ ბქიმიწათ, სქუა — ნანა,
თურქეფ ვამორინუნა:
კოც ირფელც მიღულანა,
ღუქული გვთაშქვიღუნა.
წოხოლეშე თურქეფი ღო
- 10 უკახლეშე ზინანეფი,
ჯაირთეს ნიეთეფი ღო
ღეჩხერც დოქვეს ფიცარეფი.
მუმასქანი აქი ვა რე,
ჩქე პტკობულუ ურთასია,
- 15 მუმასქანი უევიკარე
თურქებც მიშაბურსანცია.
ულადლას დოვიჩინე:
„მაღას ვიმაღუნასია“.
ქიქე რღი, მარა ქეგაჩინე —
- 20 „ენა ვაგე ზურასია“.
სქან ანჯარი ხაზერი რე,
გიაღუნი ჩქარასია,
ღურჩა ხოლო კაზერი რე,
დოგიხემა შარასია.
- 25 მარა, სქუა, გოჩინა —
რთხორე, ირო ქორშედას:
ოქიში ვაძარა ნტერც,
ოში ქეკორთხოზედას.

5 არც თაფლი და ნიორი...
ტანს ჩოხა შემომახიეს,
ფეხზე წინდა არ მაეცია,
ვერ მიეხედი, რა დაეშავე,
თურქები რომ თავსა მკრიან?

5. ნ ა ნ ა
(თურქობის დროისა)

- ჩამეხუტე, ნანა-შვილო,
ღა მე აქ გიტიკეებ — ნანი-ნანა,
თურქი მიდის გზაზეღო,
მამაშენის წაღდაყრაკი — ნანი-ნანა.
- 5 რა ვქნათ, შვილო — ნანა,
თურქები არ გვაყენებენ:
კაცს ყველაფერს ართმევენ,
შემდეგ (ქი) ჩამოახრობენ.
წინიდან თურქები ღა
- 10 უქნიდან (ქი) ხიზნები,
გაიყვეს ნიეთები ღა
ცეცხლს შეუნთეს ფიცრები.
მამაშენი აქ არაა,
ჩვენ ურთაში ვიმაღებით,
- 15 მამაშენი უბედური (უბედისწერი)
თურქებთან იბრძვის (ტრიალებს).
წასელის დღეს დაგიბარა:
„მაღე მომყესო“.
პატარა იყავი, მაგრამ შეგაცყო —
- 20 „ეს არა ჰგავს შვიშარასო“.
შენი აბჯარი მზადაა,
(მამაშენს) მიყვევი ჩქარა,
ღურჩაც მზად არის,
დაგილოცავ გზასაო.
- 25 მაგრამ, შვილო, გაბარებ,
გთხოვ, მუღამ გახსოვდეს—
ზურგი არ უჩვენო მტერს,
(თუნდ) ასიც რომ მოგდევდეს.

1 ურთა—შთის სახელია.

II. საბრფილო ლექსები

6. ცოროფილო

ყოდა ღო მარდის სი გაბარენა,
სქანი უმშოთე მუ იცუაფუ?

გიძიციანქენი—ცა ისარყუუ,
მოწყუნდგქენი—ღიმუნუაფუ.

- 5 ხვათა.წირუა სქანი ცოფერი,
შხვა ჭოჭოხეთმა ქოიწურუაფუ,
ხატო ღო ჭვარო სი მიმორქექქ,
ქოთი სქან ღული მიფუჩუაფუ.
სქანი სისქეამე მა ვემაქარე,
- 10 ვართ გოსაქირე სი ბრელი ცქეაფა,
რხიან თოლითე სი მოძირაფა,
გურიმ მალამა, შურიმ ჩხონაფა,
ნოტე ეფერ დღა მობძედასო,
ჰამო ნინათე დემერაგაფე,
- 15 ვარიაშ გამათე „ქოს“ თქუნდე,
კვლეს კვლესა კვლაშირდენდე,
ზრათაშ წამალე მიკაგენდე ღო,
დროშ ოკეთეშა მიქანუნდე.
ლურა ვამილე სერ ღო დღამითე,
20 უთქვენთ სო რე დროში ტარება?
თოლოში კუა დგმეფარებუ,
მუეამე მაშიი სქანდე ალობა.

7. ნწარე ცოროფა დიდი ნძალა რე

ნწარე ცოროფა დიდი ნძალა რე;

იშო მილიონი მუთა ფარა რე,

მუეამეც დეზინებუ გურცუნი,

შეგიწუხენცე ტანს ღო შურცუნი,

- 5 ვადგეთხიებუ, გილარცუნცუნი,
ქარწყეკ, თიწყემა მუთა გურცუნი;
ბოლოს გოიჩქინანცე თოთალ კუასე, —
ეუფაჩენცე აზრი-კუასე,
კოჩიშ სქუასე, ადამიანცე

6. სატრფოს

ყოდასა და მადლს შენ გაბარებენ,
შენს უმისოდ რა იქნება?

რომ გაიცინებ—ცა მოიწმინდება;

როცა მოიწყენ—მოიღრუბლება;

- 5 წირვა-ლოცვა შენთვის ყოფილა,
სხვა ჭოჭოხეთში გაგვზავნია,
ხატად და ჭვარად შენ მიმაჩნიხარ,
კიდევ შენი თავი დამიფიციავს.
შენს სილამაზეს მე ვერ ავწერ,
- 10 (და) არც კვირდება შენ ბევერი ქება,
თვალეშხიანი ხარ ჩევენება,
გულის მალამო, სულის ცხონება.
ნეტავ ისეთი დღე თუ მომეღოს,
ტკბილი ვნით დამელაპარაკო,
- 15 უარის ნაცვლად „ქოს“ ამბობდე.
(და) მკლავს მკლავში რომ გამოიყრდე,
(„ზაფრის“) წამალს მიშხადებდე და
დასანიშნავად რომ მიბარებდე,
ძილი არა მაქვს (მე) დღე და ღამე,
20 უთქვენოდ სადაა დროის ტარება?
თვალის ტუივილი ჩამომშორდება,
როცა ვიშოვი შენგან „ალობას“².

7. მწველი სიყვარული დიდი ძალაა

მწველი სიყვარული დიდი ძალაა;

მისთვის მილიონი ფული არაა,

რავამსაც დაბინავდება გულში,

შეგიწუხებს ტანსა და სულს,

- 5 არ მოგიცოდება, თან დაგვეება,
ხედავ, რომ მასთან არაფერი გავა;
ბოლოს გავიჩენს ისეთ სატრფოს, —
ავიჩენს აზრსა და კუასე,
კაცის შვილს, ადამიანს

¹ დროშ კვათუა—„დროის (გადა)კრა“.

² ალობა—აქ შეწყენარება, (ალისაგან) რაეის დახსნა—განათვისებულება.

- 10 მუგერებზე. ღიხას რჩუანცე.
ვა მიჩქენა მუთუ ინათე¹,
ესე ვა ეულ თოლცე სინათლე,
ვეცოდებუქუ, ზღვასე ქინანთხე,
თეწყმა ვა გურც ნდება-სიმაართე;
15. ეს ოხიოლე, მუში მონა რდე,
გაშთერებული ვილეკენანდე.
ჰა, ბედინერი ადამიანი,
მისჯთ ვა მოხეად თიშე ზიანი,
თინა იელი დიდი კვეიანი,
- 20 მესიაოანი, გაგებიანი;
მარა ჩქიმ გურცუ მუთუ ვახვარე,
თიცილი ცოდა ინიხვარხელე,
მაქუალ ალი გემაფარფალე,
შური დო გურქუ ღემაღგვარდგელე.

- 10 მოგერევა, მიწაში გმარხავს.
არ ვიცო, ეს რით მოინათლება,
ამას არა აქვს თვალში სინათლე,
არ შევიცოდებს, (თუნდაც) ზღვაში ჩაეარდე,
მასთან არ გავა ნღობა-სიმაართე;
- 15 მას უხარია, მისი მონა იყო.
გაშტერებული დაწაწალბდე.
ჰა, ბედინერი ადამიანი,
ვისაც ეცდება მისგან ზიანი,
ის იქნება დიდი კვეიანი,
- 20 გულთმისანი, გამგებიანი;
მაგვრამ ჩემს გულს არაფერი შევლის,
ისეთი საცოდაობა დაძერება (და
ტრიალებს შიგ).
მწველი აღმური მიელის ფარფატით,
სული და გული დამუთუთქა (წვითა
და დაგვით)

8. მახა, მა სქანოთ კირიბი ვორდა

- მახა, მა სქანოთ კირიბი ვორდა,
ირ გაჭირებაშ ვალუაფარი,
მახა, მა სქანოთ სანთელი ვორდა,
ხატის წოხილე ონდლულაფარი!
- 5 სი ორდი ვარდი უგუბირუქ.
ვორდ მოგალობე მა მათშალია,
გიგალობი დო გგვობირაფე,
შური კოვინთხე მა, მახარია!
 - 10 ენა ნანდულო თაში ქორდენი,
ფიფრქე, ვათქუე სითი ვარია,
მათშალიაშო ვოქუჩუჩელი
ვარდისშ მინჯეთუ რდასო კვარია?!

8. მახა², მე შენთვის კრავი ვიყო

- მახა, მე შენთვის კრავი ვიყო,
ყოველი გასაქირის შესაწირავი,
მახა, მე შენთვის ვიყო სანთელი,
ხატის წინაშე დასადნობელი!
- 5 შენ იყავ ვარდი გაუფურჩქენელი,
მე ვიყავი ბულბული მგალობელი,
გიგალობე და გაგფურჩქენი,
დაგყნოსე მე, გამხარებელი!
 - 10 ეს ნამდვილად ასე რომ იყო,
ფიჭრობ, არ თქვა შენც უარი,
ბულბულისათვის გაფურჩქენილი
ვარდის პატრონად იყოს ყვავი?!

9. სი ეა რშენო?

- სი ეა რშენო, ვოლუაფირო,
კუჩხი კუჩხის ვილარდგინი?
მოსვასეილი, მოკვანწილი,
ეი ბალკონცე ვილარდინი?
- 5 მა ეულირი ბოში ვორდი,
სი უწითელ ცირა რდინი,
თინა ვარა ქევიშინი,
ჩქიმ გურიში კილა რდინი,
ჩქიმ შულადირი შურიშო
 - 10 მასვანჯებელი ბინა რდინი.
დიო ხოლო იმენდი რე,
მათი ქესე ქორშულე,

9. შენ არ გახსოვს?

- შენ არ გახსოვს, შემოგველე,
რომ დადაგდი ფეხი ფეხზე?
მორთული და მოკაბშული,
რომ იდექი აივანზე?
- 5 მე მოსული ვაგი ვიყავი,
შენ კი ცირა უწითარი,
ის შინც ვაიხსენე,
ჩემი გულის გასაღები რომ იყავი,
ჩემი დადლირი სულისათვის
 - 10 მოსასვენებელი ბინა რომ იყავი.
ქერ კიდევ იმედია,
მეც ცოტათი გახსოვდე,

¹ ნათუა—ნათლა. გადატ. გულის მოგება.
² მახა, მახარია—მახარობელი (საალერსო მიმართება).
³ ცირა—ქალიშვილი.

შხეაშა ირო ჭომსხუნუქუ,
 სი მა ლახზრეკ ქოპქუნდე.
 15 ვარა ღიხას, ვარა ცას,
 სოლეთინი ვონჭკდე,
 ვარა ლურელც, ვარა თელც,
 აქას მუთუნც ვორგვდე-
 თენა ცოდა მუჭო ვა რე,
 20 თეცალც კოცვ ორთვდე?
 მარა ენა მუთ მიმოჩქ,
 უკული ვადმოკორდვდე!
 ლურაღლაშა ქოიჩინექ,
 გვალო ვაგოპყორდვდე,
 25 მინა ლორონთქ ნჯმ ქიმიწ,
 მა სი ვა გოცოდვდე!

10. ჩქიმი დუღქუ ქვგვალუუ

ჩქიმი დუღქუ ქვგვალუუ,
 თუმა გვოტყვირილ ცირა!
 მიზოჯი ღო მიინალე,
 მა ვა მოკო თიში ქირა!
 5 შურ ღო ხორცი წამიწყვიინდი,
 ჯოჯოხეთის მუჩი ბინა,
 ქველი ვორდა, ჭინარაღლა,
 ოღონც ირო სი გიჯინა!...

11. გოროფა

ირი სქანი
 ართო სქეამი —
 პიჯიში კანი,
 ხე ღო ტანი,
 5 თუმა - წარი,
 სიტყვა წყნარი,
 უჩა თოლი,
 კისერ ბროლი,
 კოც აგიყენც
 10 ჟინა სქანი.
 მორაგადე
 აზრიანი,
 მუთუნ ვა გიღუ
 ნაკლოვანი —
 15 დუღუ შლაპა,
 ტანცე კაბა,
 ართიანიში შესადარი.
 ტყბილი ნინა,
 წყნარი ჟინა,
 20 სანატრელი, საოცარი...
 ვაგმაშეთოა,
 ვეშმოცოთაი
 ბჰარი სქანი
 სათხოვარი.
 25 მოკო რძირე,
 სით ქობძირე,
 კომუჩი სვიინდისო

სხეას მუღამ შირჩევენისარ,
 შენ მე ცეცხლზეც რომ მწვადლე-
 15 (ნე ტაე) ან შიწას, ან ცას
 საიდანმე ეწვდებოდლე,
 ან მკედარს, ან ცოცხალს
 რომელიმე (მთვანს) რამეს ვარგებდე-
 ეს ცოდვა როგორ არაა,
 20 კაცს ასეთს უშერებოდლე?
 მაგრამ ეს არაფრად მიმაჩნია,
 მერე არ დამაქლდებოდლე!
 სიკედლის დღემდე მოგიცილო,
 სულ არ დამივიწყებდე,
 25 ის (კი) ღმერთმა ნუ ქნას,
 მე არ გეცოდებოდლე!

10. ჩემი თავი შემოგველოს

ჩემი თავი შემოგველოს,
 თმა (ნაწნავ) შეკრევილო ცირავ!
 მიბრძანე და მიმსახურე,
 მე არ მინდა იმის ქირა!
 5 სული და ხორცი წამიწყვიინდი,
 ჯოჯოხეთში მომეც ბინა,
 წყველი ვუყო, თუ ვინანო,
 ოღონდ მუღამ შენ გიყურო!...

11. სიყვარული

ყოველი შენი
 მთლად მშენიერი —
 პირის კანი,
 ხელი და ტანი,
 5 თმა (და) წარბი,
 სიტყვა წყნარი
 ღავი თვალი,
 კისერ ბროლი,
 კაცს აგიყებს
 10 მზერა შენი.
 მოსაუბრე
 აზრიანი,
 არა რა გაქვს
 ნაკლოვანი —
 15 თავზე შლაპა
 ტანზე კაბა,
 ერთმანეთის შესადარი.
 ტყბილი ენა,
 წყნარი მზერა,
 20 სანატრელი, საოცარი...
 ნუ მაშფოთებ,
 ნუ დამლუპავ!
 ეწერე შენი
 სათხოვარი.
 25 მინდა გნახო,
 შენცა მნახო,
 მოპეც სინდისო

ლო ნლომა,
მოკო ნლომა,
30 წმინდა გრძნობა,
სეინდისი ღო მეგობრობა.

ლა ნლომა,
მინდა ნლომა,
30 წმინდა გრძნობა,
სინდისი ღო მეგობრობა.

12. საგოროფო

12. სატრფიალო

თიკალ ბელიშ ქობუას,
ნარტი ემალედასენი,
სოდეთ სი იცუაფუქი,
მათ თექ ქიმმართედასენი..
5 მარა მუთუნით ვემალე,
ოსოქეთე იმნარტე...
ფერ წერილო გინმოშქეას,
მა სი წამიკითხანდე.
მოჩგრე ფერ ქობუანი,
10 დუცე ვა დამიხარდე
მეტის თინა მახიოლე,
სითი მუშაკითხანდე.
კაკა თხირო გინმოშქეას,
კართეს ქაწომირღვანდე,
15 სქან კუჩხმოდვალ ქობუას,
კუჩხმა ქემომიდვანდე,
ომარული ქობუას,
ღვანწემა ქიმომისევანდე,
სქან ყურთბალშ ქობუას,
20 დუღმა ქიმომიდვანდე!..

(ნეტაე) ისეთი ბელის მქნა,
ნატრა ამიხდებოდეს,
შენ სადაც იქნები,
მეც იქ მომეხვებოდეს!..
5 მაგრამ ვერაფრით ამიხდება,
დღენიადაც ვნატრობდე...
ისეთ წერილად მაქცია,
მე შენ წამიკითხავდე.
მოკეთე ისეთი გქენა,
10 თავს არ დამიშურებდე,
უფრო ის გამიხარდება,
შენც რომ მომეკითხავდე.
დაკროლილ თხილად მაქცია,
კალთაში ჩამიყრიდე,
15 შენი ფეხსაცმელი მქნა,
რომ ფეხზე ჩამიყვამდე,
ფერ-უმარული მქნა,
ღაწვზე რომ წამისვამდე,
შენი ყურთბალიში ვიყო,
20 თაექვეშ ამომიხდებდე!..

13. საგოროფო

13. სატრფიალო

მე მოპირენ მიჩქე, მარა
შხეაშა მუქო მარაგადე!
ჩქიმი რინას ღურა უჩგუ, —
მა თაქ ცოდით გილუმგარდე ;
5 აქ ფულირი ჰირ ბილენცე,
ეგებ თექი გუაცხადე.
ნახეტანი ფუალაშე
ჩუანც დღლა იშვარუე,
უიშენდე ღოროფაშე
10 კოჩი უცფას ირჩენუე.

(მე) რაეა მქირს ვიცი, მაგრამ
სხვას როგორ გავუბნოლო (მეთქმის)!
ჩემს ყოფნას სიკვილიო ჯობს, —
მე აქ საცოდავად ვტიროდე;
5 აქ მალული ჰირი მკლავს (და)
ეგებ იქ გავამხილო.
მეტისმეტი დღლილისაგან
ქვაბში მდღლარე ჩაშრება,
უშემლო სიყვარულისგან
10 კაცი უცებ ბერდება.

14. საგოროფო

14. სატრფიალო

ტანო მშვენიერი რექე,
ულა გიჩქე სი სქეერიში,
ჰირი ქობლოლამუდვასე
სქანი ჩელა კისერიში.
5 ტანი გილე მშვენიერი,
ღურკულანქე ჩიტოცალო,
ქეუნტურუა, ღვაქვიშვალო
ატამაში პირიყალი.
აჲა. ფაშხა ნასიღლიც
10 ღუჩა ქემორთი სი ხეაღე.

ტანად მშვენიერი ხარ,
სიარული იცი შელის,
ჰირი მშვეყაროს
შენი თეთრი ყელის.
5 ტანი გაქეს მშვენიერი,
ქიქვიებე ჩიტოციო,
(სახე) ჰორფა, ღაწვმღღვივარი
ატმის ყევილის მავგარი.
ერთი, კვირა ნასადილევს
10 სახლში მოდი მარტო შენ,

- ოზეშ კარშა ქემორთენი,
 აკა ქიმიოხეალე;
 ირული, ირული,
 ჩქიმდა ირული,
 15 ხუტოლი, ხუტოლი,
 გურც ქემახუტოლი!

15. უიმენდე გოროფა

- უიმენდე გოროფას
 თოლშა ეა მიბძირუანდი¹,
 ფიფქენდი ვენტებუდინი,
 ხერხის გემიბრინუანდი, —
 5 წვალეზას ვატყობუდუდი,
 ადრე ქედობრულუანდი.
 სონ ბაღეს რე პირანცენი
 თი ჩქიმ მაქული ვარდი
 მუშენ ნამთინ ვა წანცენი —
 10 ვართი ცოლა, ვართი მარდი!
 მუზმა მეტის მიგორდინი,
 თიზმა მეტი ლახალა რდი;
 მუთ გარზას თე ჩქიმ გურქუ,
 თიშახ ნაქუი-ნახალაქ?

16. ვარდი დო ქუქელეში ლერსი

ვარდიქ თქუე: ჩქიმ თინა რე,
 მით მოურც დო შურს მითხუნ²,
 ხეს ვა მოფთხენც, ვამოფსოფუნც,
 ჩქიმ სიქსეამეთ დუც ერთუანც.

• • •

- 5 ვარდისე დო ქუქელესე
 წორო ნოლედეგე ბინა,
 ევრიხოლო მახალე რე,
 ლორონთიში ენარჩქინა.
 ვარდის ჭუნა ქოხეადგა,
 10 ქუქელეცთ ხეად მიგოჭინა!

17. ვ ა რ დ ი

- ვარდეფ ვარდენდ ვარდიცალო,
 მუეამეც ვარდ თი ვარდინი,
 ედემეც იწურესენ თინა,
 სი მიმოჩქელი თი ვარდინი.
 5 ჩქიმ ხოლოსე ვა გორწყელი,
 თულო ვარდი, ეთი ვარდი,
 ათე დღასე ხეალე ვორდი,
 სი ვა პუნდინ, მა იმგარდი.

- ეზოს კართან რომ მოხვიდე,
 ერთი ჩაახველე;
 ირბინე, ირბინე,
 ჩემკე: ირბინე,
 15 მეხუტე, მეხუტე,
 გულში ჩამეხუტე.

15. უიმედო სიყვარული

- უიმედო სიყვარულს
 ახლო არ გაეიკარებდი,
 ვფიქრობდი, (რომ) გაეექცეოდი,
 ხერხის გამოფიქვინებდი, —
 5 წვალეზას ვემალეზობდი, —
 (და) ადრე დავიძინებდი.
 რომელ ბაღშია, რომ ყვავის
 ის ჩემი მწველი ვარდი!
 რატომ არც ერთი არა სწამს —
 10 არც ცოდეა, არც მადლი?
 რამდენად მეტად მიყვარდი,
 უფრო მეტი სენი ვახდი,
 რით გაძლოს ამ ჩემმა გულმა,
 ასჭერ ღამწვარ-ღადაგულმა?!

16. ვარდისა და კინკრის ლექსი

ვარდმა სთქვა: ისაა ჩემი,
 ვინც შოვა და დამყნოსას,
 ხელს არ მახლებს, არ მომწყვეტს,
 ჩემი სიტუროფით თავს შეიქცევს.

• • •

- 5 ვარდსა და კინკრისა
 ერთად ქქონიათ ბინა,
 ორივე ვასახარელი (გასაზრდელი)
 ლეთისაგან გაჩენილია.
 თუ ვარდს კოცნა ხელება,
 10 კინკრისაც ხელება მიხელება!

17. ვ ა რ დ ი

- ვარდნი ვარდობდნენ ვარდიეთ.
 როცა არ იყო ის ვარდი,
 ედეშის ვარდად ცნობილი,
 შენ მეგონე მე ის ვარდი.
 5 ჩემს ახლოს არ გხედავდი,
 ქვევით არ იყავი, ზევითაც არ იყავი,
 ამ დღეში მართოდ იყავი,
 შენ რომ არ მყავდი, მე ეტროდი,

¹ თოლშა ეამიბძირუანდი—არ მჭეროდა, მძულდა (სიტყვისიტყვით „თუალად არ მოვიან-ხულეობდი“).

